ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 23
წელიწადი მეორე
1913
სამშაბათი, 29 იანვარი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

გამოვიდა გასაყიდათ პაპიროზი „მ ა ი ა კ“ ქარ. „კომეტა“
25 ც.—ორ შაურათ. 15 ც.—6 კ.
ქ. თფილისი.

მიილება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 **იმერეთი** წელიწადი მეორე 1913

**გაზეთის ფასი:**
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც ორი მანეთი.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михаиловичу Желадзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

გუბერნსკი სეკრეტარი პარმენ და ეფრემ მიხეილის ძე, და ვერა მიხეილის-ასული სანადირაძეები და კესარია შათირიშვილის-ასული სანადირაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ გადაცვალებას პირველი და უვიწყარი ძმის ხოლო უკანასკნელი საყვარელი შვილის,

**ვარლამ (სიმონ) მიხეილის-ძის სანადირაძისას**

უკანასკნელი ტირილის და გამოთხოვების დღე დანიშნულია ხუთშაბათს 31 ამა იანვარს ს. ვანში საკ. სახლში ჩვეულებისამებრ

ქართული თეატრი.
ბენეფისი მარო მდივნისა
ხუთშაბათს 31 იანვარს წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა
პატარა კოლეტა
მოზარდი ქალის სიყვარული.
(კომ. 4 მოქმ., თარგ. სანდალაძისა)
ადგილების ფასი საბენეფისოა. —◆— დასაწყისი საღ. 8$\frac{1}{2}$ საათზე

ქ. ქუთაისში
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
ვ. ვ. გიგინეიშვილისა.
რიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი ის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

ქუთაისის მოვაჭრეთა საყურადღებოთ.
თეატრ რადიუმში
1 იანვრიდან 1913 წ.
ყიდება ადგილები
სცენის ფარდაზე
განცხადებების და რეკლამებისათვის.
ელთ შეუძლიათ მიმართონ თეატრ რადიუმის დირექციას, ყოველდღე საღამოს 7 საათიდან

ВЫИГРЫШНЫЕ
БИЛЕТЫ
ЛЬГОТНЫЯ УСЛОВІЯ.
ДОСТУПНО ВСѢМЪ.
ПРОСПЕКТЫ БЕЗПЛАТНО.
БАНКИРСКІЙ ДОМЪ:
Л. В. ЛАНДАУ и Ко
ВАРШАВА БРАТСКАЯ 18

ექიმი ი. ჩარექოვი.
იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი თისელიანის სახლი.

ექიმი ვ. ი. ფიჩინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

პირველი თებერვლიდან გაზ. „იმერეთი“
ამა წლის დამლევამდი ღირს 6 მან. 10 შ.

## დღიური

სერბიელებმა ადრიანოპოლს ცეცხლი მისცეს. ქალაქი იწვის.

— ადრიანოპოლთან ოსმალები მარცხდებიან.

— მოკავშირე სახელმწიფოებმა მცირე ხნით ადრიანოპოლთან ბრძოლა შეწყვიტეს და ოსმალებს წინადადება მისცეს: უბრძოლველათ დაგვნებდით; პასუხისათვის 24 საათის დროს გაძლევთო.

— ბულგარეთის მთავრობა დარწმუნებულია—ადრიანოპოლს პირველ თებერვლამდი ავიღებთო.

— ჩატალჯაში ახალგაზდა ოსმალთა მომხრე და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკება მოხდა; ხუთასი კაცი მოკლეს.

— ერთი გერმანული გაზეთი სწერს: გერმანია არაოდეს არ შეიწყნარებს, რომ აღმოსავლეთის საკითხში რუსეთისა და საფრანგეთის პოლიტიკამ გაიმარჯვოსო.

— პეტერბურგის მამადიანთა გაზეთის მე-7 ნუმერი დაკავეს წერილებისთვის—„კმარა სისხლის ღვრა“ და „მამადიანები და ოსმალეთი“.

— მეფე ფერდინანდი ომის ველის მთავარ ბინაზე წავიდა.

## სათათბირო.

სათათბიროს მუშაობა განახლდა. მაგრამ საზოგადოება ამ ამბავს გულგრილათ შეეგება.

რატომ?—იმიტომ, რომ სათათბიროს არსებობა ხალხის ცხოვრებას სრულიად არ დასტყობია.

არცერთი სათათბიროს სურვილები არ შეუწყნარებიათ. მთავრობა პირიქით, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სათათბიროსთვის ყოველივე მნიშვნელობა წაერთმია.

მართალია, მეორე სათათბირო პირველზე უფრო ზომიერი იყო და მესამე ხომ კიდევ უარესი, მაგრამ ოთხივე სათათბირომ მოითხოვა, მთავრობა კანონს

სები უნდა გაუქმებულ იქნეს და ადმინისტრაციის თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოსო. ეს მინიმუმ მოთხოვნილებაა.

მაგრამ მთავრობა ყურს იყრუებს. რისთვის გააუქმებს საგანგებო წესებს? და ამ უფლებაზე რომ ხელი აეღო, მორჩილ სათათბიროს ხომ ველარ მოიპოვებოდა?

მთავრობას სათათბირო მარტო იმისთვის სჭირდება, რომ წლიური ხარჯთაღრიცხვა დაკანონებული იქნეს ხოლმე: ხალხის წარმომადგენელთა მიერ ბიუჯეტის მოწონებასა და დადასტურებას ევროპის თვალში დიდი ფასი აქვს.

და სხვა მხრით კი სათათბიროს თითქმის არარაფერი მნიშვნელობა აღარ აქვს. თითქმის არცერთს მის მიერ მოწონებულ კანონს, რომელსაც კი მცირე-

საბჭო არ ამტკიცებს. და დღემდი თუ ამბობენ, სათათბირო ტრიბუნას წარმოადგენს, საიდანაც ხალხს სამოქალაქო იდეას უქადაგებენო, აწ ამის თქმაც აღარ შეიძლება, რადგან სენატმა გააუქმა ძირითადი კანონების მეთოთხმეტე მუხლი, რომელიც დეპუტატს სიტყვის სრულ თავისუფლებას ანიჭებდა. ამ დადგენილების ძალით დეპუტატის სისხლის სამართალში მიცემა სათათბიროში წარმოთქმული სიტყვის გამო ერთობ გაადვილებულია. ამგვარად დეპუტატებს პირში ლაგამი ამოსდვეს.

დიახ! უარესი მდგომარეობა წარმოუდგენელია. ერთი მხრით სახელმწიფო საბჭოა ამართული ვით გადაუვალი კედელი, მეორე მხრით სენატი იმუქრება სისხლის სამართლით.

რა გზას უნდა დაადგეს ამ პირობაში სათათბირო?! ოქტომბრისტები რომ წვრილმან ანგარიშებს არ მისდევდენ და გულწრფელათ სწამდესთ 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომლის სახელითაც თავი მოუნათლავთ, მაშინ, ცხადია, სათათბირო ადვილათ აასრულებდა თავის სამოქალაქო მოვალეობას ხალხის წინაშე არ დაამტკიცებდა ხარჯთაღრიცხვას.

ეს ის უფლებაა, რომელსაც ხმარობდენ ევროპის ძველი პარლამენტები ბიუროკრატიასთან ბრძოლის დროს. ამ უფლებასვე ემყარებიან ხოლმე ახლაც ევროპის თითოეული იმ ქვეყანაში, სადაც, როგორც რუსეთში, სამინისტრო პარლამენტის წინაშე პასუხს არ აგებს. მაგრამ, სამწუხაროთ, რუსეთში ეს უფლება სათათბირომვე ჩამოართვა თავის თავსა: ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების აუცილებლობა წინდაწინვე გადაწყვეტილი აქვს!

ამიტომ არის უნაყოფო მისი მუშაობა. შეიკრიბებიან დეპუტატები, იტყვიან მშვენიერს, ლამაზ სიტყვებს და გონიათ, მოვალეობა ავასრულეთო!

უკვე რამდენიმე თვე გავიდა, რაც მეოთხე სათათბირო შეიკრიბა, მაგრამ მისმა მუშაობამაც უნაყოფოთ ჩაიარა. კიდევ რამდენსამე თვეს იმუშავებს. მაგრამ უნაყოფო შრომას რა მადლი აქვს?!

დიახ! სათათბიროს მოღვაწეობა სიზიფის შრომას წარმოადგენს!

და რასაკვირველია, რომ ხალხი სათათბიროსაგან არარაფერს ელის!

ურო.

# ახალი ამბავი.

მეფის მოადგილეს, გაზეთების სიტყვით სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის ცირკულიარი გაუგზავნია სამოსწ. ოლქის მართვაგამგეობის შესახებ, ეს ცირკულიარი გამოიწვია, სხვათა შორის, სასწავლებლებთან არსებული მშობელთა ზოგიერთი წრის დახურვამ და 81 წ. სასწავლო პლანის დარღვევის განზრახვამ ზოგიერთი ერთგული მოხელეებისაგან.

◆ თფილისში იანვრის 27-ს ალ. ხახანაშვილის გარდაცვალების ნახევარი წლის თავის პანაშვიდი გადაიხადეს.

◆ ჩვენი დრამატურგი ავ. ცაგარლის ხსოვნის აღსანიშნავათ,—გარდაცვალებიდან ათი წლის თავი,—თფილ. დრამატიულმა დასმა 27 იანვარს აღნიშნა დრამატურგის ნაწარმოების წარმოდგენით.

◆ დღეისწორს სამშაბათს ქუთაისში გაიმართება საგულისხმო შინაარსიანი სალიტერატურო მუსიკალური საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზდა მგოსნები, მწერლები და მომღერალთა გუნდი.

◆ ქ. შ. წ. კ. გ. ქუთაისის განყოფილების გამგეობა უკვე შეუდგა თავის მოქმედების წლიურ ანგარიშის შედგენას. ამისთვის იგი მოუწოდებს წევრებს და დამხმარე აგენტებს, რომელთაც არ შემოუტანიათ 1919 წლის საწევრო ფული, დააჩქარონ შემოტანა, რომ ისინი ირიცხებოდენ სრულ უფლებიან წევრებათ და ხმა ქონდეს მომავალ საზოგადო მარტის კრებაზე. დამხმარე აგენტებმა ამ კვირაში უეჭველათ ჩაიბარონ გამგეობის ხაზინადარს გადაცემული კვიტანციების ანგარიში. ხოლო ვისაც ახლათ სურს საზოგადოებაში ჩაწერა, ამის სურვილი ახლავე უნდა გააცხადოს და ფული განყოფილების ერთერთ დამხმარე აგენტთან, ან მდივანთან შავიქვის საბჭოს კანტორაში შემოიტანოს.

◆ ქუთ. განყოფილების გამგეობა სთხოვს აგრეთვე ყველა იმ განყოფილებებს, რომელთაც გაგზავნილი აქვთ გასაყიდათ ქუთ. განყოფილებისაგან გამოცემული წიგნები, გამოუგზავნონ განყოფილებას სრული ანგარიში დღემდი გაყიდული წიგნებისა, რათა ეს ცნობები შეიტანოს 1912 წ. ანგარიშში. კარგი იქნება თუ ამაზე ცალკე ბარათების მიწერ-მოწერას აეცდენენ გამგეობის განყოფილებები.

◆ აკაკი შაბათს საღამოს თფილისს წავიდა თავის ნაწერების კონფისკაციის ამბის გასაგებათ. ამ წიგნის საქმე ამ ორ დღეში გამოირკვევა.

◆ ორი დღეა, რაც ქუთაისში ხმა დადის, რომ ოდიშში მოუკლავთ ბოქაული დადიანი.

◆ თფილისში გასულ კვირაში დუელი მოხდა თ. პ. თუმანიშვილსა გ. ბაგრატიონ დავითაშვილის შორის, ორივე უვნებლათ გადარჩენილა.

◆ ჟურნალ „განათლების" იანვრის ნუმერი მთავრობას აუკრძალავს. ხელის მომწერლებს გვიან მიუვათ ეს ნუმერი.

◆ ახალგაზდა მგოსანს ა. შანშიაშვილს დაუწერია ახალი პოემა.

◆ დაპატიმრებული ლავრ. მგელაძის ოჯახის გაჭირვებულ მდგომარეობაზე ბევრს სწერენ თფილისის გაზეთები. ობლებს სიკვდილს მშობელ დედაც მოაშორა და უდედ-მამოთ დარჩენილი ბალღები საცოდავ მდგომარეობაში არიანო. უმწეოთ დარჩენილი ბავშებისათვის გაზეთები შემწეობას სთხოვენ გულშემატკივარ საზოგადოებას.

◆ 24 იანვარს ღამით, ჩხრეკის დროს დაპატიმრებული აქვსენტი ცხადია და ა. ხელაძე უკვე გათავისუფლეს, ხოლო ა. შენგელია ისევ დაპატიმრებულია.

◆ თფილისში ბერძენთა მგოსანი გრაფი კავკადა ჩასულა. კავკადა საბერძნეთის ბლორძინების შესახებ ბრძნულათ ლექციას წაიკითხავს.

◆ სპარსეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე საპეხდარი თფილისში მისულა. აქიდან იგი ევროპას მიდისო.

◆ 27 იანვარს ელექტრო-თეატრ ,,რადიუმში" ნეკრასოვის დილა გაიმართა. ნეკრასოვზე ა. გარსევანაშვილმა რეფერატი წაიკითხა. წაიკითხეს ლექსებიც.

◆ ხონიდან გვწერენ: ხონის პროგიმნაზიის მე 5 კლასის მოწაფეებს მასწავლებლები სამკითხველოში შესვლის უფლებას არ აძლევენო. მათ სამკითხველოდან წიგნების გამოტანაც აუკრძალესო.

◆ 4 თებერვალს თფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს არდევან ნასარიძის საქმეს, რომელსაც ქუთაისის საოლქო სასამართლომ 8 ივნისს 1913 წელს კაცის მოკვლისათვის 12 წლის კატორგა გადაუწყვიტა.

◆ 1 მარტს იგივე სამოსამართლო პალატა გაარჩევს ლუკა მგალობლიშვილის, ღუღუნიშვილის და მახარაძის საქმეს, რომელთაც პირველ ორს 12—12 წლის ხოლო უკანასკნელს 8 წლის კატორგა აქვთ მისჯილი გაცარცვისათვის.

◆ სენატმა დაამტკიცა კოწია ჩიგოგიძის და იეანე მდივანის საქმე, რომელთაც ქუთაისის საოლქო სასამართლომ პირველს ჩიგოგიძეს, გურიაში მამასახლის მოკვლისათვის 8 წლის კატორგა მიუსაჯა, ხოლო, მდივანს, დაცემისათვის 12 წლის კატორგა. ამათ მოკლე ხანში რუსეთის საკატორგო ციხეში გაგზავნიან.

◆ 27 იანვრიდან დროებით შეჩერებული გაზეთი „ქართლის" გამოცემა განახლდა.

◆ გორის ქართველ წიგნების გამომცემელე ამხანაგობის სტამბაში ან. ერისთავ—ხოშტარიას რომანის „მოლიპულ გზაზე"-ს, ბეჭდვა დაუწყიათ.

◆ სიღნაღის გაზეთი კახეთის ხმა პირველ იანვრიდან კვირაში ორჯერ გამოდის.

◆ ალ. მესხიშვილის საგასტროლო წარმოდგენას 27 იანვარს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ამ დღეს გასტროლიორის მონაწილეობით „ყაჩაღები წარმოადგინეს.

## მოწერილი ამბავი

ხაშური (ქართლი).

ხაშურლები კულტურულათ ჩამორჩენილი ხალხია. აქ გარდა სამკითხველოსა კულტურული დაწესებულება არ არსებობს. სამკითხველოს მდგომარეობაც არაა სახარბიელო. სამკითხველოში მოსიარულეთ თვეში ხუთ შაურს ახდევიებენ. ეს ხუთი შაურები მკითხველებს აფრთხობს. დრო გამოშვებით აქ წარმოდგენებიც იმართება, მაგრამ რომ არ იმართებოდეს უმჯობესი კია. წარმოდგენა წარმოდგენას არა გავს, მოთამაშეები პიესას ამახინჯებენ. ერთი სამწუხარო ამბავი კიდევ. ადგილობრივ ეკლესიაში წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე ვერ გაიგონებთ.

ს. წესი (რაჭა)

აქ დიდი როსტომის მემკვიდრეს შამადავლე ერისთავს მამულში მოცილე გაუჩნდა, მეორე მემკვიდრე, გ. გოცირიძე. გოცირიძემ ხსენებულ ერისთავს წისქვილზე შეედავა—მამაშენმა მე დამიტოვა წისქვილიო. ამ საქმემ სასამართლოს კარამდიც მიაღწია.

დ. აბაშა.

სოფ. ნაგვაზოუს ვაჟების შკოლაში მასწავლებლის კორძაიას ადგილზე დაუნიშნავთ რუსი მასწავლებელი ქალი, ბავშებს მასწავლებლისა არა ესმით რა, მასწავლებელს კი ბავშებისა.

— 21 იანვარს აქ ჩამოვიდა სენაკის 1 რაიონის გამომძიებელი, რომელსაც უნდა გამოეძია ბოქაული აბაკაროვსა და ფაქიზო დათუაშვილის მეუღლის შორის ატეხილი საჩივარი, მაგრამ გამოძიება არ შესდგა რადგან მომჩივანს მოუთხოვია მოწმების დაკითხვა უნდა მოხდეს ბოქაულის დაუსწრებლათო, ხოლო გამომძიებელი კი ამაზე არ დასთანხმდა. საქმე გამოუძიებლათ დასტოვა ბ. გამომძიებელმა.

— 21 იანვარს მოხთა საკრედიტო ამხ-წლიური კრება; კრებას წევრები ბლომათ დაესწრო, კრების თავჯდომარეთ აირჩიეს ბ. პლატონ ლეჟავა. განსახილველი იყო: წასული წლის ანგარიშები და მათი დამტკიცება, მოგების განაწილება, ახალი წევრების არჩევა გამგეობაში და საბჭოში და სხვ. ამხანაგობაში აღმოჩნდა 300 წევრი 16,135 მის ნდობით. 1 იანვრისთვის 1913 წ. გაცემული აღმოჩნდა სესხი 9290 მ. წმინდა მოგებაყოფილა 1912 წ. 280 მ. და კრებამ გამგეობის წინადადებით ერთხმათ დაადგინა 200 მ. იქნეს ძირითად და 80 მ. სათადარიგო თანხებში გადარიცხული.

კრებამ თავჯდომარის წინადადებით აირჩია სარევიზიო კომისია, რომელსაც დაევალა ყოველივე ანგარიშებს რევიზია გაუკეთოს ხოლმე და თავისი აზრი წარუდგინოს საზოგადო კრებას. სარევ. კომ. აირჩიეს: მიტროფანე ხოშტარია, ალ. ნადარეიშვილი. და სერგო ვაჩაძე. გამგეობაში ნაცვლათ ქორჩილავასი აირჩიეს მასწავლებელი ლ. ჭანტურაია.

კრებამ ამხანაგობის მოანგარიშეს ბ. ქობულიას ჯამაგირათ 200 მ. დაუნიშნა, ხოლო ხაზინადარს ბლადოჩინს მ. რ. შომახიას 100 მ.

## დღიური.

### ჩვენებურ სამსჯავროს წინაშე.

საბრალო ქართველი სტუდენტობა! დღე ისე არ გავა, რომ ჩვენს გაზეთებში ლანძღვა-გინებით არ მოიხსენიონ და მის „უვიცობაზე" ლაპარაკი არ ჩამოაგდონ.

ვინც საქმეს შორიდან უცქერის, გული მართლაც გაუწყალდება და იტყვის; „ვაი ჩვენს თავს, ვაი ჩვენს მომავალს!"

ასე გამოდის, თითქოს გუშინდელი მებრძოლი, „სახლში მავალი", „ხალხის მასწავლებელი" სტუდენტობა, დღეს ისე გამოფიტულა გონებრივათ და ისე დაცემულა ზნეობრივათ, რომ ამ ხალხისავე სასაცილოთ გამხდარა.

მაგრამ განა მართლა ასეა?

ცოტათი მაინც ახლოს მივიდეთ ამ ახალ თაობასთან, ცოტათი მაინც გავეცნოთ მისი გულის ტკივილსა და ვარამს და აშკარათ დავინახავთ, რომ ჩვენი ხალხი გუშინაც და დღესაც უკიდურესობაში ვარდებოდა, მისი მსჯელობა და სამართალი ცალმხრივი იყო.

საზოგადოთ ცნობილია, რომ ქართველობას უკიდურესობა გვიყვარს ყველაფერში და ეს უკიდურდსობაც ხშირათ მახინჯ სახეს იღებს. მაგალითები? რამდენიც გნებავთ.

აიღეთ თუნდაც ჩვენში ფრიად პოპულიარულ დასელთა პარტიის გზა და მისი შემადგენლობა: აქ თქვენ აშკარათ შეამჩნევთ, რომ ამ პარტიის ზრდა-განვითარება ბუნებრივი არ იყო, იგი არ იყო აღმოცენებული საზოგადოებრივ დიფერენციაზე, კლასობრივ ანტიგონიზმის საფუძველზე. მთელი ერი თითქოს სოციალურათ მთლიან ელემენტისაგან შესდგებოდა, ერთი კლასიდან და ამ კლასში შე დიოდა: ვლეხი, მუშა, ბურჟუა, ღებარი, მრეწველი, ვექილი, ექიმი და სხვ. რა თქმა უნდა ერთ პარტიაშიც შესაძლებ ლია მრავალფეროვანობას ადგილი ქონ დეს, მაგრამ ყველაფერს თავისი ზომა აქვს.. მთელი ერი, რა თქმა უნდა, არ შეიძლე ბოდა ერთი პარტიის დროშის ქვეშ დამ გარიყო; ეს შესაძლო იყო მომხდარიყ მარტო ჩვენში, საცა უკიდურესობა ას თის სიძლიერით ვითარდება, საცა ვნებ თა ღელვას და ზერელე გატაცებას ას თი უპირატესობა უპირავს ღრმა დაკვირ ვება—გონებრივ მსჯელობასთან შედარე ბით.

ახლა ამ პარტიის მიერ გამოლაშქრე ბაც მოვიგონოთ ეროვნულ იდეალებ წინააღმდეგ, ყოველივე ქართულის უა საყოფათ, მხოლოდ იმისათვის, რომ ერო ნულ ბრძოლას არავითარი ადგილი და მობოდა და უმნიშვნელო გამხდარიყო კლა სობრივ ბრძოლის წინაშე.

რომელი ერის სოც.-დემ. გინდათ ა ლოთ, რომ თავისებურობას მედგრათ ა იცავდეს, ეროვნულ პრინციპს ლ ტობდეს, ეროვნული სახე არ ქონდე!

ჩვენში? ჩვენში აქაც უკიდურეს თავისი გაიტანა და შეეცადა ხელოვ რათ გადაეფუჩეჩებია ეგ დიდი საკით რომელსაც მით უმეტესი მნიშვნელ აქვს ისეთ უფლებაჰყრილ, უსამართლ დევნილ ერისათვის, როგორიც არ ქართველი ერი.

ასე უკულმართად აზროვნობს და მო მედებს ჩვენი ერის შვილი და ის ამ შე მთხვევაში ნამდვილი ლვიძლია უკვე ხევრათ გადაგვარებულ, აჩატებულ უნებო ქართველი ხალხისა.

რას იზამთ? ასე დაგვსაჯა ისტორი ჩვენი სახე, წარსულთან შედარებით, წყ წალებული და მკრთალი შეიქნა...

ქართველი სტუდენტობის წინააღმდ გამოლაშქრებაც ამ ჩვეულ უკიდურეს ბის ნაყოფია. ჯერ ჩვენ მისგან ბ ვითხოვდით, იგი ხალხის მხსნელათ გ სახებოდა, იგი პატარა კერპი იყო გუნდრუკს ვუკმევდით.

მაგრამ ამ მძიმე ტვირთს იგი ვერ აუ რებდა სავსებით, მას ამდენი ძალა, რა თქმა უნდა, არ შესწევდა და რაკი მო ლოდინი სავსებით ვერ გაამართლა წარმტაცი კოშკები ვერ ააგო, ჩვე ხალხი დღეს მეორე უკიდურესობის გადაიხარა და აშკარათ დევნა დაუწ ქართველ სტუდენტობას. მტრათ, მოღ ლატეთ, უვიცათ, ულონოთ და ვე რათ გამოაცხადეს... და მიუწდომელ მაღლიდან ქვევით ტალახში ჩამოათრ გათელეს და საშინელი ხარხარით მიაყარეს. დაასამარეს ნორჩი თაობის დები!..

რა დააშავა ასე უსამართლოდ განსჯ

---

# ფონეტიკური ეტიუდები.

(იაფეტური მასალები).

## 1. უმთავრესი ტიპები შედარებით-ეტიმოლოგიურ მოვლენათა ფონეტიკურ თვალსაზრისით.

§ 1. მარტივი ტიპი გენეტიურად-მონათესავე სიტყვათა პარალელისა:

ქართ. ძაღლი ‖ მეგრ. ჯოღორი.

ამ მაგალითში სავსებითაა დაცული ქართულ-მეგრული კანონები ფონეტიკური თანხმობისა (соотвѣтствіе), სახელდობრ:

ქართ. მეგრ.
ძ = ჯ (მაგ. სიძე=სინჯა)
ა = ო (მაგ. ასი=ოში)
ღ = ღ (ღორი=ღეჯი)
(ისევ) ა = ო (კაცი=კოჩი)
ლი = რი (თოვლი=თირი)

ერთად: ძაღალი*)=ჯოღორი.

ასეთი სრული ფონეტიკური და სემასიოლოგიური (ე. ი. მნიშვნელობის) თანხმობა ქართულსა და მეგრულ ფორმებს შუა დამამტკიცებელია იმ ფაქტის, რომ ეს სიტყვა არსებობდა პირვანდელ იაფეტურ ენაში, სანამ ეს უკანასკნელი გაიყოფებოდა ქართულ, მეგრულ და სხვა ენებათ, და თვით ეს მაგალითიც (ძაღლი ‖ ჯოღორი) წმინდა ტიპია ისეთ ეტიმოლოგიურ პარალელისა, რომელიც ამტკიცებს სიტყვის მშობლიურობას (ჩვენს მაგალითში—იაფეტურობას:) სავსებით დაცულ ფონეტიკურ კანონიერებით.

§ 2. ტიპი ფონეტიკურ ასოციაციის კანონებით დამახინჯებულ გენეტიურად-მონათესავე სიტყვათა პარალელისა.

ქართ შეშა ‖ მეგრ. დ-იშკა*)

აქ ფონეტიკური კანონიერება თანახმობისა სავსებით არ არის დაცული: ქართ. „შ"-ინს შეუძლებელია (კანონიერად!) მეგრ. „დ"-ონი უდრიდეს; მაგრამ მეორე ნაწილს პარალელისა (—ეშა ‖ იშკა) სრულიად კანონიერი სახე აქვს, შეად:

ქართ. ე=მეგრ. ი (გა-ვ-ჭერი=გო-ბ-ჭკირი)
„ შ.ა= „ შკ-ა (არ მა-უ-შკა**)=ვა მოსუ-შკვა***)

ერთად: —ეშა=—იშკა.

ამგვარად, ჩვენი სიტყვების (შ-ეშა ‖ დ-იშკა) მეორე ნაწილის კანონიერებას იმ დასკვნამდი მივყავართ, რომ ამ შემთხვევაშიც, როგორც წინანდელ მაგალითში (ძაღლი ‖ ჯოღორი) სიტყვა მშობლიური იაფეტური უნდა იყოს, მაგრამ პირველ ბგერათა უთანხმობა (ქართ. შ—მეგრ. დ—) ასეთ დასკვნას თითქოს ეწინააღმდეგება. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მეორე ტიპი სიტყვათა პარალელისა, რომელიც სავსებით არ ემორჩილება განსაზღვრულ ფონეტიკურ კანონებს, მაგრამ, მიუხედავათ იმისა, სიტყვათა მშობლიურობა შესაძლებელია დამტკიცდეს ე. წ. ფონეტიკურ ასოციაციის (ასიმილაციის, დისიმილაციის და სხვ.) კანონებით. ფონეტიკურ ასოციაციის შინაარსი მოკლეთ გარდაიცემის: სიტყვაში ზოგიერთი ბგერა ხშირად იცვლება მეზობელ ან-საზოგადოთ—მახლობელ ბგერის ზეგავლენით. მართლადაც „შ"-ინი ქართულ შეშა-ში და „დ"-ონი მეგრულ დიშკა-ში პირვანდელი ხმები როდი არიან: ისინი წარმოსდგენ სულ სხვა ბგერათაგან, რომელნიც შეიცვალენ ფონეტიკურ ასიმილაცია-დისიმილაციის კანონებით მახლობელი ხმის, სახელდობრ „შ"-ინის (შეშა ‖ დიშკა) ზეგავლენით. რომ ასეთი ასიმილაცია ქართულ ენაში მართლაც შესაძლებელია, ამაში დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ მაგ. იმ ფაქტს, რომ ქართულ ენაში არსებობს და იხმარება კიდეც პარალელურათ ორი ფორმა ერთის სიტყვისა: სიმშილი და შიმშილი. რაღა თქმა უნდა, რომ პირველი ამ ფორმათაგანი ეტიმოლოგიურად უფრო სწორია (ლიტერატურულ ვარგისობას იმა თუ ამ ფორმისა ჩვენი მსჯელობა სრულიად არ ეხება), რადგან უფრო ძველია (სიტყვის თავში „სი"-წინსართია: სი-მართლე, სი-მაგრე); და აი ეს ფორმა შემდეგ შეიცვალა მეორე ფორმათ—„შიმშილი". რად? მად, რომ ამას ითხოვდა ბგერა „შ" (სიმშილი), რომელიც ვერ იგუებდა თვის გვერდით სისინა ბგერას „ს"-ანს. ეტყობა, ქართველის სმენას უფრო მოსწონს ბგერათა ასოციაცია (კომბინაცია) „შ—შ", მინემ „ს-შ"*). ამიტომ უძველეს ქართულ ფორმას „სეშა"-ს მაგიერ ჩვენ მოგვეცა დამახინჯებული მაგრამ დღეს უკვე მიღებული ფორმა- შეშა.

ახლა, როდესაც აღვადგინეთ პირვანდელი ქართული ფორმა „სეშა", [შენიშვნა რედ. ამის შესახებ იხ. პროფ. ნ. მარის გამოკვლევა „Еще о словѣ „Челеби". (Къ вопросу о культурномъ значеніи курдской народности въ исторіи Передней Азіи) С Петербургъ 1911 გვ. 17, შენიშ. სადაც მოყვანილია, რომ ქ. შეშა მომდგარია სეშა-დან, როგორ შიშ შიდან, შიმშილი სიმშილი-დან და ხური შაშა საშა ს მაგიერ. ამ მაგალით ში პირველი თანხმოვანი „ს" მიემსგ „შ"-ს] არქაიული თანაბარ მეგრულ ფ მის აღდგენა არ გაგვიძნელდება: ვიცით, რომ იქ, სადაც ქართულ „ს"-ანი ზის, იქ ამ უკანასკნელს კან ერათ მეგრულში აუცილებლათ „შ" უნდა უდრიდეს (გაიხსენეთ ზემოთ მო ყვანილი მაგალითი: ასი=ოში, თვე: სული=შური, სვანი=შონი, ცის=კოჩიშ და სხვ.), ამიტომ აღდგენ უძველეს მეგრულ ფორმას უნდა ქონ სახე: „შიშკა". და ჩვენი პარალ ლიც:

1. ქართ. შეშა ‖ მეგრ. დიშკა

უნდა შევსცვალოთ ლიგვისტიკურ უფრო სწორ პარალელზე:

2. ქართ. სეშა ‖ მეგ. შიშკა*).

---

*) ამგვარათ ფონეტიკური ანალიზი გვიჩვენებს უძველეს ფორმას ქართულ სიტყვისა: „ძაღალი". [შეიძლება, ამგვარი ხმოვანების ჩართვა (полногласіе) მარტოოდენ მეგრულის თვისება იყოს, ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული. როგორც მაგ., თაფლი ‖ თოფური, ქმარი ‖ ქომონჯი, წაბლი ‖ ჭუბური, მხარე ‖ მუხური და სხვ. მრავ. შენიშ. რედ.]

*) სიტყვებს ვყოფთ ნიშნით (—) არა ლინგვისტურ მოსაზრებათა მიხედვით, არამედ თანახმად პოპულარულ მსჯელობის პრაქტიკულ მოსაზრებათა.

**) ვხმარობთ აქ ფონეტიკურად უფრო კანონიერ ქართლ-კახურ ფორმას.

***) ამ ფორმით იხმარება ეს სიტყვა ზემო სამეგრელოს სოფლებში (ზუგდიდის ჩრდილოეთით); ეს ფორმა მორფოლოგიურად უფრო ძველია, ვიდრე მისგან წარმომდგარი, შემოკლებული „მუშვა", რომელსაც მეგრელთ უმეტესობა ხმარობს.

*) აი კიდევ ამის საბუთი: ბ.ნ ს. ხუნდაძეს სწორედ სიმშილი=შიმშილი „შ უფრო კეთილხმოვანად მოესმის" („სალიტ. ქართ.", გვ. 109). იქვე, სხვა სიტყვათა შორის, კეთილხმოვანად აღსაარებული „შინჯვა" წარმომდგარია იმავ ასოციაციის კანონით ფორმიდან „სინჯვა": ს-ჯ შეიცვალა შ-ჯ-ად; ამგვარად „ჯ"-ანიც, როგორც „შ"-ინი, თვის მახლობლად სისინა ბგერის მაგიერ შიშინას მოითხოვს. სხვა მაგალითებსაც, იქვე აღნიშნულთ: ტაშტი, ფოშტა, გაშტერება, შტვენა,—გარდა სიტყვისა „შკოლა";—ასოციაციის კანონების ზეგავლენითვე შეუცვლიათ „შ"-ინად „ს"-ინი; ხოლო აქ სულ სხვა კანონი იჩენს თავს: სტ ‖ შტ (როგორც გერმანულში). რაც შეეხება სიტყვას შკოლა, ის ამ ფორმით პირდაპირ რუსულიდან არის შემოღებული, მეორე ფორმა „სკოლა"-კი ლათინურის მიმზგავსებით იხმარება: კეთილხმოვანება, ქართველის სმენის თვალსაზრისით, არაფერ შუაშია.

*) ეს ფორმები უ ე ჭ ვ ე ლ ა თ რეალური დია: ისინი ჩვენ აღვადგინეთ იმ მასალებ ლებით (იხ. ქვემოთ), რომელნიც ხელთ გვ შეიძლება აღმოჩნდეს კიდევ ახალი მასალები ჩვენთვის უცნობ სვანურ ენაში), რომელნიც თელ ყოფენ მეტ სამართლიანობას შემდეგ მებისა: ქართ. ძეშა ‖ მეგრ. ჯეშა, ან კიდევ თა. მაგრამ ამით შინაარსი ჩვენი მსჯელ ფონეტიკურ ასოციაციის შესახებ არ შეიცვ ჩვენი მთავარი მიზანი-კი ამ პარაგრაფში ამ შინაარსის განმარტება არის. უ ე ჭ ვ ე ლ ცხადია შემდეგი დებულებანი: 1) თანამედ ქართ. და მეგ. ფორმები შეშა ‖ დიშკა დამახ ჯებული არიან ფონეტიკურ ასოციაციის გავ ნით და 2) მ ხ ო ლ ო დ ქართულ-მეგრულ ლების საშუალებით შეუძლებელია აღდგ იქნეს სხვა ფორმები, გარდა: სეშა შკა-სი.

ა ქართველმა სტუდენტობამ? იკითხავთ ქვენ. არაფერი! პირიქით, იგი უფრო ნ წაიწია და თუ მას გუშინ შეუგნებელი მოძრაობა ახასიათებდა, დღეს ნაბრათ შეგნებული ეროვნული პრინციბა სამსახური მაინც ახასიათებს. მაშ რას ჩით მას? ამ კითხვაზე პასუხს ისევ ქართველი ხალხის ფსიხიკის თვისებურობა მოგვცემს—მისი უკიდურესობის პოზიცია და შეუგნებელი ლტოლვა გუშინდელ კერპთა ვერაგულად დამხობისმი. საბრალო ქართველი სტუდენტობის ბედი ასეთ სამსჯავროს წინაშე!..

**კოდალა.**

# სამშაბათელა.

ემს მოწონებასა თუ დაწუნებას ყურს უგდებს და ვის რათ ეპიტნავება, მამე მაინც, პირადათ ჩემი გულის მოსაფერებლით, არ შემიძლია არ ავნუსხო, თუ კი რამე კილიანი, კბილ-გასაკრავი მოვიძიე. სხვის გულს გავასივებ თუ გავახალისებ, ამას არ ვჩივი.

და როცა ასე ვიქცევი—ვიტყვი ან დავწერ, იმის იმედი კი არა მაქვს, რო ული გასწორდება, სიცრუე სიმართლეთ გადაიქცევა, სიყალბე გაფაქიზდება და... ით სიტყვით, იმის იმედი კი არა მაქვს, რო ყოველივე გავასპეტაკო... კაი შენ, ა არა... მე ამ დროს, ჩვენდა საუბედუროთ, ქვეყნის ბრძნული ნათქვამი ს სახეში:—ჩემმა წისქვილმა კი ფქვას ნც რა უნდა სთქვას...

დაბ, საუბედუროთ ასეა და რას ამ...

ბა, ყველა ბრძნული ნათქვამი რო ით მოლადებლისა უდაბნოსა შინა არ ს, ჩალა გვიჭირდა... მაშინ ხო ჩემი კალ კიტიც საჭირო აღარ იქნებოდა... სე მართალ, რო მაინცადამაინც ით სახარბიელო და კაი ნიშანი არაა, ც ასე იმედი დაგეკარგება კაცს და —ჩემმა წისქვილმა კი ფქვასო... სთანა უიმედობა როცა მწერალს დაეება, რა საფეხურის მწერალიც არ უნ იყოს იგი—ჩემებრ დადანდალა, თუ, და უწარჩინებულესიც, მოასწავებს თავად იმ საზოგადოების დაქვეითებას, თვისაც ის დიდი თუ პატარა მწერაც სწერს...

ეს პატარა, არა-სამშაბათელური წინაუყვაობა რამ დამაწერია, იციით?... თა წრემ!

გასულ პარასკევს, საღამოს შვიდი საით იქნებოდა, ქალთა წრის კრებაზე ცი გააგზავნა ჩვენმა რედაქციამ, რომ გოთისათვის ანგარიში მოეწოდებია ქალნასაუბრებისა. დაბრუნდა—არ შემიშვესო. გუშინწინ „მერცხალში“ ამოვიკითხე—არც იმის კაცი შეუშვიათო კრებაზე, რომ ქალთა ჰიკჰიკისათვის ყური ეგდო და მერე ეს ჰიკჰიკი „მერცხალს“ ამოედღურტულებია.

ეს კიდევ უფრო გამიკვირდა.

ჩვენი კაცი, იქნება, იმ მოსაზრებით არ შეუშვეს ქალებმა კრებაზე, რომ ჩვენს გაზეთს მაინც არავინ კითხულობს, მარა „მერცხალი?!.. „მერცხალი,“ რომელიც ორასიათასი ცალი იბეჭდება და აქედან: ქიათურაში სადღაც ოციათასი, ხონში—ოცდაათი (ოცდაათი ცალი კი არა—„იმერეთის“ არ იყოს—ოცდაათიათასი), ბანოჯაში—სამოცდა თუთხმეტი ათასი, ვინაიდან იქ აგურხან-კრამიტხანების მუშებია უზღვავესი, სუფსაში—ოთხმოცი ათასი, ვინაიდან იქ ნავთის წარმოება გაჩაღებულია და უამრავი მუშაა, ოდიშში,—მართალია, სარდიონ ფაღავა ძაან უშლის ხელს, მარა ევგენის სამშობლო ისე არ დაეცემა, რომ მთელს ოდიშში ასიათასი მაინც არ გასაღდეს და ქუთაისსა და თფილისში ხო გადის და გადის. (უკაცრავათ, მგონია, ჯამში მეტი გამოვიდა:—თავში შევცთი, უნდა მეთქვა—სამასიათასი ცალი იბეჭდება-თქო.)... ასე რომ მამა სიმონი ახალ მანქანებს, მოტორებს და რედაქციაც ახალ „ნაბორჩიკებს,“ „რაზნოჩიკებსა“ და „სბორჩიკებს“ იწერენო.

და რაკი ასეა, მეც ის გამიკვირდა, რომ ასეთი ორღანოს წარმომადგენელი მაინც არ „დაუშვეს“ ქალებმა თავის წრის კრების სხდომის ბჭობის მოსასმენათ. ჩვენ თუ გინდა არაფერი, მარა ასეთი გავრცელებული ორღანი ხო მთელად მილეთს მოფენდა მათ ამბავს!

ქალნო! იბრძვით გათავისუფლებისათვის, ყვირით—კარჩაკეტილი ვართო, და კარს კეტავთ?!

გაიძახით—მამაკაცებთან გაგვათანასწორეთ, და თუ ამ მამაკაცებს ახლოს არ გაიკარებთ, ხო უნდა დაგეტოლონ, და როგორ უნდა მოხდეს ეს?

გამაგებიეთ—ვერა გავიგე-რა!

აი, „სახემწიფო დუმაში“ კიდეც გადაწყვიტეს თქვენთვის საგულისხმო უფლებები მოენიჭებიათ, მარა „საბჭომ“ სხვა რიგათ დაბჭო. და ეს სულ იმიტომ, რომ კარჩაკეტილობა თვითონ გირჩევნიათ... მოფინეთ კარები, გამოდით, გამომზეურდით..

მარა ქუთაისის „გულვარდზე“ კი არა—ცხოვრებაში!!...

გავათავე მეგონა და „სამშაბათელას“ ბეჭედიც უნდა დამესვა, მარა ოთახში შემოვიდა:—პოეტი ვარ, გვარით მაკალათია და ეს ლექსი, თუმც შეიძლებოდეს მომიკალათეთ თქვენს გაზეთშიო. მეც შესაფერი ადგილი მოვუძებნე და ვაკალათებ მაკალათიას კალათიდან ამოღებულ ლექსს.

სახელათ მქვია „მერცხალი,“
მერცხალივით ვერ ვქღურტულობ.
არვიცი, რა მემართება,
რას ვბჟუტურობ!
არ მეგონა, თუ ზამთარშიც
იქნებოდა მწერ-ბუზები:—
დამესია თაგუნები,
ხუნხუზები!
ისევ უნდა გადავფრინდე,
და აქიდან ავიბარგო,
პეტრეს ქალაქს მივაშურო,
ჩვენებს ვარგო.
იქ ახლა მე საჭირო ვარ
უნდა ვნახო გეგიჭკორი,
ესფერებზე მივუზღვათ
ცილი, ქორი.
თუ ღმერთმა ქნა, მოვახერხეთ,
მოვიშოეთ გელოვანი—
ეს იქნება გამარჯვება
ჯეროვანი.
ეს თუ იქნა, და კარლოსთან
მოვხვდით მეოთხე დუმაში...
ბაკაიც იქ!.., კამათელო,
ჰე, დუმაში!

სამშაბათელა.

# დეპეშა.

## პეტერბურგის დეპ. სააგენტოსაგან.

### ომი ბალკანეთზე.

**სოფია.** ბულგარეთ—რუმინიას შორის მოლაპარაკება, რომელიც ლონდონში დაიწყო, სოფიაში გაგძელდება. ბულგარეთის დელეგატები დანევი და სტამბოლის ყოფილი ელჩი სარაფოვია. რუმინია თავის მხრით სოფიის ელჩს გივას ასახელებსო.

**მონტენეგრო.** 25 იანვარს ვეშოვიჩის, ვუჩინოვიჩის და პეტროვიჩის რაზმს მავთულებით გზა შეუკრეს. ახლა ისინი ყოველი მხრით ალყაშემორტყმული არიან. მკაცრი ბრძოლა, რომელიც ღამით დაიწყო დღისითაც გაგძელდა. ოსმალებისა და შავმთიელების ზარალი ძლიერ დიდიაო.

25 იანვარს ოსმალეთის თითქმის მთელი გარნიზონი დაიღუპა. მუსელივის და ვლავიცის რაზმებმა, გარდა 20 კაცისა, რომელნიც მტერს ხელში ტყვეთ ჩაუვარდენ, თითქმის დაუზიანებლათ მიასწრეს ტარაბოშის სიმაგრემდი და იქ ჩაიკეტენ.

**სტამბოლი.** 25 იანვრიდან ბულაირში საშინელი სისხლის ღვრაა. გალიპოლს ქვევით ჯარი და ტრანსპორტები გაგზავნეს.

მცირეაზიის ნავსადგურებზე დაატუსაღეს 20 ბულგარელი მგზავრი ვაჭარი, რომელნიც მაკედონიიდან მიდიოდენ.

**სოფია.** ჩატალჯში გუშინ ოსმალებს სამი გზით უნდოდათ იერიში მიეტანათ მტერზე, მაგრამ უკუ აქციეს. ადრიანოპოლის აღების საქმე მარჯვეთ მიდის.

გალატში 300 სახლი და მაღაზია დაიწვა დიდი ნაწილი მაჰმადიანებისა ყოფილა. როსტისლავის, კიკულისა და დონცის მეზღვაურები ჯარის თავის მოყრას ვაჟკაცურათ შველოდენო.

**ალექსანდრია.** მოვიდენ ყოფილი ვეზირი ქიამილი, შეიხულ-ისლამი და მინისტრი შეშიდ-ბეი.

**სოფია.** მეფე და მეფის შვილები დემოტიკს წავიდენ.

**სტამბოლი.** ყოფილი მინისტრი ჰაკიფაშა მისით ევროპის კაბინეტებთან წავიდა. როგორც ოსმალეთის წყაროებიდან იუწყებიან, ბულგარლებმა დერკოსში სამი დღის ბძოლას შემდეგ უკან დაიხიეს და ბძოლის ველზე 10 მოშლილი ზარბაზანი დასტოვესო.

**მასუმესელგიმა.** ოსმალეთის ტყვე ჯარისკაცები ადასტურებენ—ჰასან-რიზა-ბეი დახვრიტესო.

### საზღვარგარეთი.

**ბერლინი.** „დოიტშე-თეატრში“ რეინჰარტის თაოსნობით პირველათ დადგეს ტოლსტოის პიესა „ცოცხალ მკვდარი“. პროტასოვის როლი მოისიმ შეასრულა. ბოშათა სიმღერა კი პეტერბურგელმა მსახიობმა ქალმა რატმიროვისამ. პიესამ

**ტირასპოლი.** საბჭომ დაადგინა ათი დღის განმავლობაში საყოველთაო განათლება შემოიღოს.

**ვაშინგტონი.** ცენტრალურ ამერიკაში სამი სამხედრო გემი გაგზავნეს, რადგან ცნობები მიიღეს იქ აჯანყება ხდებაო.

**ვენა.** „ცაიტი“ იუწყება: ხორვატელ სტუდენტებს აზრათ აქვთ, თუ თუ რეკაში კათოლიკეთა ეპარქია დაარსდა, მართლმადიდებელი სარწმუნოება მიიღონ.

**ხარბინი.** იანციგანში კორეის საზღვრის მახლობლათ გარნიზონი აჯანყდა და პოლკოვნიკი ვანი მოკლეს. ქალაქი გაცარცულია. მთავრობა მფარველობას რუსეთ-იაპონიის საელჩოში ეძებს.

**თეირანი.** სალარ-დოულე ხორასანს მიდის და საბზევარს ემუქრება. უკანასკნელი, როგორც სჩანს, წინააღმდეგობას არ გაუწევსო. ზოგი ამბობს სალარ-დოულეს 300 მეომარი ყავსო, ზოგიც—ათასიო.

**ურგა.** როგორც მონგოლეთის მთავრობა იუწყება, ჩინეთის მთავრობას ხალკის წინააღმდეგ 40,000 ჯარის კაცის რაზმი მოუწყვიაო.

იუანშიკაის დეპეშამ ხუტუხტისადმი სუსტი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან პრეზიდენტის დეპეშში ვერ იყო დამაკმაყოფილებელი დებულებანი მოყვანილი. ჩინეთ-მონგოლეთის დამოკიდებულებაზე მონგოლეთის მთავრობა შემდეგს უპასუხებს: მონგოლეთმა ამას შემდეგ კავშირი დაკარგა ჩინეთთან, რაც მანჯურიის დინასტია დაეცაო.

**ბერლინი.** უნივერსიტეტში 1813 წ. ომის გამო გამართულს ზეიმზე იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა:—როცა გერმანია და პრუსია იბრძვიან უნდა ღმერთი გვახსოვდესო, შემდეგ ბისმარკის სიტყვები გაიმეორა, „ჩვენ გერმანელებს მხოლოდ ღმერთის გვეშინიანო“. იმპერატორის სიტყვა სტუდენტების ტაშის ცემამ და ხმამაღლათ აფრთოვანებულმა ხმაურობამ დაფარა.

**მექსიკა.** სამხედრო ამბოხება მოხდა. ჯარებმა ეროვნული სასახლე და საზოგადო სახლები დაიკავეს. ქუჩებში პატრულები დადის.

### რ უ ს ე თ ი.

**რიგა.** ზღვა ყინვისგან გაიწმინდა.

**პეტერბურგი.** თავადი ჰოგენლოე ხელმწიფემ „ცარსკოე სელო“-ს სასახლეში მიიღო. საღამოს ვენას გაემგზავრება.

**ადესა.** ოთხი ბრალდებული, რომელთაც სერბიის საკრედიტო ბილეთების კეთებაში ბრალს სდებდენ, გაამართლეს.

**ნოვოჩერკასკი.** სათავადო-აზნაურო კრებამ დაადგინა—იშუამდგომლოს დონის ოლქში საჩქაროთ შემოიღონ ერობა.

**პეტერბურგი.** ფინანსის მინისტრი სათათბიროში საჩქარო წინადადებით შევიდა, რომ რომანოვთა გვარეულობის იუბილეს სხვადასხვა ხარჯების დასაფარავათ 4,849,901 მანეთი გადაიდვას. ამ ფულიდან 200,000 მან. ხელმწიფის სახელზე მოსულ თხოვნების დასაკმაყოფილებლათ გადაიდება. 60,000 მანეთი იმ 500,000 მენდლებისთვის უნდათ, რომელიც სხვადასხვა პირთ საჩქაროთ უნდა მიეცეს. აგრეთვე ამ ფულიდან უნდა გამოიყიდონ კასტრომისა და იპატიევის მონასტრების შემოსავალი, და ამ ფულიდანვე უნდა დაამზადონ მილიონი სურათი „რომანოვების გვარის შერჩევა მეფის ტახტზე ასვლა“ და სხვა.

**ლიუბლინი.** ავაზაკთა ბრბო შეიპყრეს, რომელსაც უკანასკნელ დროს 15 თავდასხმა მოუხდენია გუბერნიის სხვადასხვა ადგილას. ბევრი მოტაცებული ოქროს და ვერცხლის ნივთები და იარაღი ამოაჩინეს.

**დონის-როსტოვი.** რუსეთის საზოგადოების სავაჭრო სანავოსნო“-ს საწყობები იწვის. ურიცხვი საქონელი იღუპება. ზარალი ძალიან დიდია. ცეცხლის გამო გულის შემზარავი აფეთქება ხდება.

**პეტერბურგი.** განათლების მინისტრმა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს ბძანება დაუგზავნა: 1913 წლის 19 თებერვალს გლეხთა განთავისუფლების დღეს ყველა მოსწავლე სწავლიდან უნდა გათავისუფლდესო.

# ბიჭიკო წერეთლის საფლავზე.

ის, ვის შესახებაც მე მინდა გავუზიარო მკითხველს ჩემი აზრი, არ იყო ვინმე დიდი და გამოჩენილი ადამიანი: არც ცნობილი მწერალი, არც ნიჭით აღსავსე მგოსანი, ან დიდი საზოგადო მოღვაწე. ის იყო მხოლოდ გულწრფელი, უმწიკვლო, პატიოსანი მოქალაქე, ნამდვილი ქართველი, რომლის გრძნობა და აზრი ყოველთვის გამსჭვალული იყო თვისი მამულის მომავალი ბედ-იღბალით, სურდა მისი აყვავება-აღორძინება, ახლო განიცდიდა თავის მოძმეთა გაჭირვება-მწუხარებას და, შეძლებისადაგვარათ, ხელსაც უწყობდა მათ.

მახსოვს, შარშან ზაფხულში, ერთს კერძო ლაპარაკში განსვენებული ბიჭიკო გაცხარებული მეუბნებოდა: «მე ვერ წარმომიდგენია ისეთი თანამედროვე ქართველი რომელიც ვერ ამჩნევდეს ჩვენი დროის მწარე სინამდვილეს, ვერ ხედავდეს რა ხდება, გარშემო, გაიგე, ყმაწვილო, რომ ამგვარ მდგომარეობაში სიცოცხლე, შეუძლებელია: ჩვენ გვინდა არსებობა, სიცოცხლე, მაგრამ არსებობა ადამიანური, გაბედული... და განა—გვაქვს ყველაფერი ეს? ყოველი ქართველი, თუ კი მას შერჩენია რამე ქართველური, უნდა გრძნობდეს ამას, ახლო განიცდიდეს დღევანდელ აუტანელსა და შემბორკველ პირობებს“... ასე ლაპარაკობდა ბიჭიკო, ძაგრამ ცხოვრება-კი სულ სხვა სურათებს შლიდა მის წინაშე; გარშემო იგი ხედავდა სულითა ღ გულით მონებს, რომელთა სიტყვა და მოქმედება აძინებდა და ასნეულებდა ადამიანს... და იგი მაინც არ კარგავდა იმედს, ახალი ოცნებით იმსჭვალებოდა და განაგრძობდა მოქმედებას... სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე, ჯერ კიდევ სულ ახალგაზდა იყო და ბევრი რამ კარგი შეეძლო გაეკეთებია შორაპნის მაზრისთვის, რომლის წინამძღოლათაც იგი იყო უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში.

სიკვდილი ულმობელია, მას „ვერ დაიჭირავს გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი“... სამწუხაროა უდროვოთ დაკარგვა ისეთი ქართველისა, როგორიც იყო ბიჭიკო თვისი მოღვაწეობითა და მოქმედებით.

**კოკი აბაშიძე.**

ქ. პეტერბურგი.

### პასუხი კორბოულის საკრ. ამხ. თავჯდ. მამა მაჭარაშვილს.

მესმის თქვენი მდგომარეობა. მთელს სამღვდელოებაში მხოლოდ თქვენ ერთი აღმოჩნდით ისეთი, რომელმაც გიბნერის „კოოპერაციის სისტემის“ შესახებ განცხადებისათანავე 12 ხელის მომწერი იშოვეთ და, ეჭვს გარეშეა, გამოცემის საქმე რომ არ შეფერხებულიყო, კიდევ მეტს იშოვიდით.

1) თქვენს წერილში არ არის მოხსენებული (!), მაგრამ გაგახსენდებათ, მე ვფიქრობ, რომ „კოოპერაციის“ სისტემის“ დამატებათ გამოცხადებული პლაკატი—„კოოპერაციის განვითარება“ უკვე მიიღეთ ხელისმომწერთათვის დასარიგებლათ. ახლა არ იკითხავთ, როგორ გამოიცა ეს დამატებაც თქვენგან და რამდენიმე სხვა პირისაგან (1. ალფ. დავითულიანი, თფილისი; ალ. გუნია, სამტრედია; გორის საკრ. ამხ., გორი და პირად ჩემ მიერ ადებული) რედაქციამ მიიღო სულ 24 მ. 3 აბ. ამ თანხით პლაკატის გამოცემაც არ შეიძლებოდა—პლაკატს 200 მანეთამდი დასჭირდა—დანარჩენი კერძო წყაროებიდან ვიშოვე პირადის ჩემის ვალდებულების ქვეშ და პლაკატი—რაც ქართულმა პრესამ სასარგებლოთ აღიარა—მაინც გამოვეცი და დავურიგე ხელისმომწერლებს. გიბნერის სისტემის დასაბეჭდავათ სულ 600 მანეთია საჭირო (სტამბა, ასოთ-ამწყობები და ქაღალდი). სულ ორი

---

მ პარალელების (1 და 2) შედარება ის მეტად საინტერესო და იაფეტურ ნიერებისთვის უაღრეს მნიშვნელოვან ონს მიგვაგნებიებს: ქართულსა და მე ულ ენებში ფონეტიკურ ასოციაციის ებში ხშირათ პირდაპირ საწინააღმდეგო ვლენები ხდება: **ქართულში**—ასიმილაცია მსგავსება, დაახლოვება), **მეგრულში**კი სიმილაცია („განმსგავსება“, დაშორება)‘ თლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ: 1) ქართ. ულ ფორმაში — „სეშა“-ორი ხშვაი თანხმოვანი არსებობდა—ს და შ, უკანასკნელმა (შ-ინმა) მოითხოვა, რომ ველიც (ს-ან) მის მსგავსად (შ-ინად) ცვლილიყო,—ასე წარმოსდგა თანამედვე ფორმა: შეშა; 2) უძველეს მეგლ ფორმაში-კი ორი მსგავსი თანხმოიყო შ და შკ, და აქ მეორემ, პირიქით მოითხოვა—პირველ (შ) ხმათ (დ-ონათ) ქცეულიყო,—ამიტოგვაქვს თანამედროვე მეგრული ფორდიშკა!.. [**შენიშვნა რედ.** შიშკა-სა შკას შუა უნდა წარმოვიდგინოთ ავალი სახე, თეორიულად სრუკანონიერი: ჯიშკა, ე. ი. პირვან „შ“ ამაღლებულა „ჯ“, რომელიც მილაციის შემდეგ გვაძლევს „დ“-ს. დ); ამგვარსავე კანონზეა დამყარემგ.-ჭნ. **ცხვინდი** (ცხვირი) არქაული ჯი-ს მაგიერ, ხოლო უკანასკნელი ულია, როგორც ნასესხები, იმერულ ში—ცხვინჯს სახით (იხ. ვ. ბერიძე ულ-კონ. Петербургъ 1912)].

მეგრული ფორმა «შიშკა» ჩვენ აღვადგინეთ ქართული ფორმის დახმარებით, იმ მოსაზრებით, რომ ქართულ „ს“-ანს კანონიერათ უდრის მეგრულში „შ“-ინ. მაგრამ, თუ შეგვიძლია, მოვიხმაროთ სხვა მეგრელი მასალებიც, რათა უფრო ცხადი იქნეს ის დებულება. რომ მეგრულიც, არა ნაკლებ ქართულისა, ემორჩილება ასოციაციის, ნამეტურ დისიმილაციის კანონებს. მართლაც, მეგრული ენა ბლომად იძლევა მაგალითებს ფონეტიკურ ასოციაციურ ცვლილებათა სიტყვებში. აქ მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმეს:

ა. ქართ. მო-სვენ-ება || მეგრ. მო-სვან-ჯ-ა.

რადგან ქართულ ფორმაში „ს“-ანი გვაქვს, მეგრულში კანონიერად „შ“-ინ უნდა ყოფილიყო: მო-შვანჯ-ა; მაგრამ ეს „შ“-ინ „ს“-ანად შეცვალა „ჯ“-ანთან*) ასოციაციაციის ზეგავლენით; ეს ასსოციაცია—დისსიმილაციაში გამოიხატა, როგორც ჩვენს მთავარ მაგალითში (შიშკა—დიშკა). გაიხსენეთ, რომ ამავე ბგერამ: „ჯ“-ან ქართულში (სიტყვი: სინჯვა—შინჯვა) პირიქით მახლობელ ბგერის („ს“-ანის) ასსიმილაცია მოითხოვა. [**შენიშ. რედ.** შვაჯ დაცულია ჭანურში: მობიშვაჯამ—ვისვენებ, მობიშვაჯი—დავისვენე, მოშვაჯინონი—გზებზე დასასვენებელი ადგილი მგზავრთათვის. იხ. ნ. მარის Грамматика чанскаго языка Петербургъ 1910. გვ. 205].

ბ. ქართ. ცვარი || მეგ. ცუნჯი.

ქართულ „ც“-ანს მეგრული „ჩ“-ინ უდრის (კაცი || კოჩი, ოცა || ეჩი, (აღმო-)ცენ-ება || ჩან-აფა და სხვ.), ამიტომ აღვადგენთ მეგრულ არქაიულ ფორმას „ჩუნჯი“, ან კიდე უფრო არქაიულად „ჩონჯი“; **) აქაც დისსიმილაცია მომხდარა (ჩ—ჯ || ც—ჯ).

გ. ქართ. ცეცხლი || მგრ. დაჩხირი.

ამ მაგალითის განმარტება პროფ. ნ. მარრს მოყავს***) აქაც დისსიმილაციის გავლენას ვამოწმებთ (ჩ—ჩხ || დ—ჩხ რადგან მეგრული ფორმა წარმომდგარია უძველეს სახიდან ჩაჩხირი.****)

**კ. ჯორჯიკია.**

---

*) თუ რა კანონიერი საფუძველი აქვს თვით ამ „ჯ“-ანის არსებობას მეგრულ ფორმაში, და რად არ მოიპოვება მას (ჯ-ანს) ქართულ სიტყვაში თანაბარი ბგერა, აგრეთვე იმ საკითხებსაც, ვითომც სრულიად აუხსნელს, თუ რად გვაქვს ამ შემთხვევაში მეგრული პრეფიქსის „მო“-ს გვერდით ქართულიც—„მო“-(უნდა იყოს კი „მა“: მეგრ. ო=ქართ. ა),—ყველაფერს ამას აქ არ შევეხებით, რადგან ამ მოვლენათ ასოციაციასთან არაფერი საერთო არა აქვთ, ხოლო მსჯელობის გავსება უნდილი მასალით გაგვიძნელებს ჩვენი პირდაპირი მიზნის მიღწევას.

**) არც იმას განვმარტავთ თუ რად არის ეს ფორმა (ჩონჯი) უფრო არქაიული; იხ. წინანდელი შენიშვნა უნდილი მასალის შესახებ.

***) Матеріалы по яфетическому языкознанію V. Н. Марръ. Къ вопросу о положеніи абхазскаго среди ялтическихъ, стр. 5. С.-П. 1912.

****) ამ ფორმის მიხედვით ქართულ ფორმასაც შევსება ესაჭიროება: ცეცხლი (შეად. ძაღალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ ქუთაისში

# ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლეული: საუცხოვო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან; აგრეთვე ჭიქ ემალ გამოვლებული, ჭურჭლეული თეთრი მანის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარევი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი, ვენ მოხრილი სუფრის ყოველგვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, სახ. ღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილება, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტად დაკლებულია.

---

მიღებულია ცნობილი აბრეშუმის თესლი

# ხ. ხრისტადულიდის

ერთერთი წარმოდგენელი მთელ ამიერ კავკასიისა სავაჭრო სახლი

# ი. გოგიელოვის ძმ-ბი

ქუთაისში

9

---

სათის განმავლობაში ავიღე ნაცნობებისაგან 10 მანეთამდი. რომ გამეგძელებია—მარტო ქუთაისში და ახლო-მახლო დაბებში ვიშოვიდი საჭირო თანხას მაგრამ უეცრივ პეტერბურგში შემექნა წასვლა საკოოპერაციო საქმეზე. თქვენსავით გულშემატკივარნი არ აღმოჩენილან (გარდა დასახელებული პირებისა), რომ საკმაო თანხა დამხვედროდა და გამომეცა წიგნი. პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ თავისუფალი დრო სულ არ მქონდა: სხვა უფრო საჩქარო საქმეები იყო, ამ საქმეების გამართლებამ საკოოპერაციო ორგანოების გამოცემა თვით საკოოპერაციო დაწესებულებას დააკისრა. თქვენ გაგეგზავნათ 6 ნუმერი „კოოპერაციისა“, გარწმუნებთ, რომ ამ 6 ნუმრის გამოცემა—გარდა ჯოჯოხეთური შრომისა—კარგა ძალ ვალით მიზის. იქონიეთ მოთმინება, სულიერო მამავ, თებერვლიდან „კოოპერაციის“ გამოცემა ახლდება გაფართოებულის პროგრამით. დანაკლისს მიიღებთ. გეგზავნებათ თქვენ აგრეთვე „შრომის კავშირი“. ამ ჟამათ კოოპერაციის შესიხებ ლიტერატურის მოთხოვნილება თანდათან იზდება. ვეძებ კერძო გამომცემელს გიბნერის „კოოპერაციის სისტემისას“, არის წინადადებაც. თუ საზოგადოებისთვის ხელსაყრელ პირობებით იკისრა რომელიმე კერძო პირმა მისი გამოცემა—ის იქნება, მალე მიიღებთ წინაღმდეგ შემდხვევაში თვით „შრომის კავშირისა“ და „კოოპერაციის“ ახალი გამომცემელი—ქუთაის მომხ. საზოგადოება იკისრებს მის გამოცემას და არა უგვიანეს 3 თვისა წიგნი დაურიგდება ხელისმომწერლებს. რაც შეეხება „Вѣстникъ мелкаго кредита“-ს მიუღებლობას ამ წერილთან ერთად ვგზავნი წერილს პეტერბურგში მიზეზის გამოსარკვევათ; დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ აუცილებლათ მივიღებ პასუხს და გაცნობებთ.

პატივისცემით **იოსონ გაბილაია.**

რედაქტორ გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

40 ДНЕЙ

БЕЗПЛАТНО!

Если вы въ теченіе 40 дней не выучитесь свободно говорить, читать и писать по нѣмецки, французски и латински по нашимъ самоучителямъ составленнымъ по новѣйшему методу [все другіе—реклама] деньги возвращаемъ обратно. Цѣна самоут. одного языка съ пересилкой наложеннымъ платежомъ 1 р. 10 к. 2-хъ—1 р. 90 к. 3-хъ—2 р. 80 к. 4-хъ—3 р. 15 к. Заказы исполняются един. складомъ для всей Россіи. С.-Петербургъ Петерб. сторона Большой пр. 56—583. 2129 **Я. К. ПЕТЕРСЪ.**

40 ДНЕЙ

40 ДНЕЙ БЕЗПЛАТНО

---

1-е ЗАОЧНЫЕ КУЛИНАРНЫЕ КУРСЫ.

**Полный курсъ лекцій для самообученія „скоромный и постный столъ“, около 1000 рецептовъ кушаній, напитковъ, печенья, компотовъ, вареній, сладкихъ блюдъ, пироговъ и др. 300 стр. убористаго шрифта.** Цѣна съ перес. нал. плат. 2 р. 60 к. НАСТАВЛЕНІЕ, **какъ правиль но вести домашнее хозяйство и приготовлять экономическіе вкусные и питательные обѣда съ приложеніемъ разрѣзки мяса и украшеніемъ стола и блюдъ,** около 100 стр. **съ рисунками.** Цѣна 1 р. 20 к. Обѣ **книги вмѣстѣ** 3 р. 35 к. (можно марками) Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-Петербургъ Пет. стор. Большой просп. № 56—255.—584.

---

ПО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ!

ВРЕМЕННО РАСПРОДАЕТСЯ

Вмѣсто 10 р. за 7 р. 50 к.; въ роскошномъ золотомъ тисненномъ переплетѣ 10 р.

16 ТОМОВЪ полнаго собранія около 5,000 страницъ большого формата СОЧИНЕНІЙ

# ГЮИ де-МОПАССАНА

**Имя Гюи де-Мопассана** гремитъ славою не только среди соотечественниковъ. но и **среди всего міра.** Достаточно указать на отзывы **И. С. Тургенева и Льва Толстого,** чтобы судить о томъ высокомъ положеніи. кокое Гюи де-Мопасанъ занялъ въ исторіи **всемірной литературы.** Памятиикъ воздвигнутый ему въ Парижѣ краснорѣчиво говоритъ о симпатіяхъ французской націи. Его произведенія разошлись разновременно болѣе **300 изданій** въ сотняхъ тысячъ экземплярахъ и переведены на языки всѣхъ народовъ. Сочинонія его особенно большой интересъ представляютъ теперь, когда такъ много говорятъ **О ПОЛОВЫХЪ ОТНОШЕНЯХЪ МУЖЧИНЪ и ЖЕНЩИНЪ.** Въ его романахъ читатель найдетъ разрѣшеніе этого вопроса въ изображеніи правдивой дѣйствительности. Книги высылаются наложеннымъ платежмъ; пересылка за счетъ покупателя по почтовому тарифу, упаковка безплатно.

Задатокъ въ размѣрѣ 2 р. 50 к. прошу выслать, можно марками почтовыми или гербовыми, безъ чего заказы не вѣполняются.

**Единственный складъ для всей Россіи: С.-Петербургъ, Петерб. Сторона, Большой пр., 5—61. Я. К. ПЕТЕРСЪ.**

---

1912 წ. ათი დეკემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

# „მერცხალი“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით 2 მ. და 10 შ., თვიურათ ქუთაისში—4 აბაზათ, ქუთაისს გარეთ 18 შ., ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური საზღვარგარეთ—14 მან. განცხადება: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 3 შ., უკანასკნელზე—2 შ.. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

**რედაქტორ-გამომცემელი—პ. ბაბუნაშვილი.**

**ფულის გამოსაგზავნი მისამართი:** ქუთაისი, ვორონცოვის ქ. რაჟდენ დიმიტრის ძე მიქაძეს.

**რედაქციის მისამართი:** პუშკინის ქ. სახლი ჰეიშვილისა, № 12.

---

3 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ჩვენი დროება“.

ხელისმოწერის პირობები თფილისში და თფილის გარეთ: წლიურათ—5 მ., ნახევარი წლ.—3 მ., ერთი თვით—3 აბ., საზღვარგარეთ ერთი ორათ მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—3 შ., მეოთხეზე—2 შ.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ი. ანდრონიკაშვილი, არტემ ახნაზაროვი, გ. ამირაჯიბი, კ. ანდრონიკაშვილი, ი. გომართელი, პ. გოთუა, ფ. გოგიჩაიშვილი, ზ. გულისაშვილი, გ. გვაზავა, ვ. გუნია, დ. დუმბაძე, დავით ეპისკოპოზი, ევდოშვილი, ი. ვართაგავა, ეგ. იოსელიანი, დ. კასრაძე, ს. მგალობლიშვილი, კ. მესხი, ანტ. ნატროშვილი, იასე რაჭველი, მ. ჯანაშვილი, გრ. ყიფშიძე, კ. თუმანიშვილი, ვალ. შალიკაშვილი და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редакц. газ „Закавказская Рѣчь“. Телефонъ №—12—48. Для телеграммъ: Тифлисъ „Дроеба“.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.

გამომცემელნი ) ერ. დ. გორდელაძე
) მ. გაჩეჩილაძე.

---

გამართულია ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო გაზეთზე“ წელიწადი მეოთხე.

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

გაზეთს 1913 წელსაც ექნება **სურათებიანი დამატება**
(კვირაობით)

პრემიად წლიური ხელისმომწერნი 1913 წლის განმავლობაში მიიღებენ

# ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები.
ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება იანვრის დასასრულს.

2) ქართველი მწერლები
ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაურიგდება ეკენისთვეში.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი: როგორც თფილისში ისე, მის გარეთ ღირს წელიწადში ისევ 8 მანეთი 10 შ., ერთი თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ., 11 თ. 8 მან., 10 თ. 7 მ., 10 შ.: 9 თ. 6 მან. 5 შ., 8 თ. 6 მან., 7 თ. 5 მ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ., 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 5 შ., 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 12 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 თ. 10 მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 თ. 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., მ. 4 თ, 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 2. მ., 1 თ. 1 მ., ცალკე ნუმერი ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 2 აბ. დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით. ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა გ ა მ ა რ თ უ ლ ი ა. 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა, დილის 9 ს. საღ. 8 ს-დი უქმეებში დილის 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორის წერა კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა. ფოშტით: Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо газети“ поч. ящ. 190.

---

# გ. გორდაძის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

---

რა საჭიროა—სოფელში ააშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოსტატიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

# ძმ. ე. და პ. საკაშვილების

სავაჭროს, ქუთაისში.
(პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

იყიდება ქურა (პლეტა), თუჯის ორი „კომფორვი“ „დუხოვკით“, სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ ჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები ლიან ცოტა არის მოსული.

---

# ფილიპე ნ. ქელიძის

# შამპანიურ „თამარ მეფე“ და „გორულიძე“



ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქ და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეცი რათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე სპე ლისტის მეთვალყურეობით.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლ

ქუთაისში მიტანას ფირმა კისრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ლი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.

**პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოთ.**

მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ქელ მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.

---

სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

# „განათლება“

**მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის.**
(წელიწადი მეექვსე).

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივათ გამოვა ყოველ თვის შუა რიცხ შიმ გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწა აღზდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული ლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკე სურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეც რები, მწერლები. პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოვე გვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი: **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფ სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურათ **სამ მანეთად,** საზღვარგარეთ 6 მ თად. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდი გადიხდის, საჩუქრათ მიიღ განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზდილ სურათს.

ხელისმოწერა მიიღება თფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქ ში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთ ში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ალ ლის იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 2 აბაზი

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

**მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвад**

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და ძარნაუხოვის, ქუთაისში.